

შს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის

პროგრამების 2024 წლის ანგარიში

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

განმახორციელებელი - შს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	120007.2	135324.7	135066.4	99.8%	48555.4
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	118476	120477.8	120447.8	100.0%	
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (ფულადი გრანტი)		522.8	295.3	56.5%	
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	1524	14303.9	14303.1	100.0%	48555.4
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (ფულადი გრანტი)	7.2	20.2	20.2	100.0%	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

1. ღონისძიების დასახელება: ინციდენტებზე /საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი პრევენცია:

1.1 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება.

- საანგარიშო პერიოდში **63 323** ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ აღემატება 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მამულებზე სამიწი-სამხედრო სამუშაოები იმერეთის რეგიონში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ჩამოწოლილ მეწყერში მოყოლილი მოქალაქეების გადასარჩენად/მოსამიწებლად;

- მონაწილეობა იქნა მიღებული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, ეროვნულ დონეზე მრავლობითი საფრთხეების პროგნოზირების პლატფორმების შექმნა და ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გამართულ შეხვედრებში;

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 165 საგანმანათლებლო დაწესებულების და ორგანიზაციის საგანგებო მართვის გეგმები;

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე სწავლება ჩატარდა 17 საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- სახანძრო-სამაშველო განყოფილებებში განხორციელდა საკომუნიკაციო ქსელის და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება;

- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლაში ჩატარდა სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება;

- სამსახური სისტემატიურად ახორციელებს მეხანძრე-მაშველთა ფსიქო - ემოციური ფონის მონიტორინგს მათი მხარდაჭერისა და საჭიროებების გამოკვეთის მიზნით;

- შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ხაშურის სახანძრო-სამაშველო განყოფილებას სტუმრობდნენ სსიპ ქრისტეფორე III-ის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N4 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, ცნობიერების ამაღლების, მეხანძრე-მაშველთა საქმიანობის ადგილზე გაცნობის მიზნით;

- სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის მასწავლებლებსა და აღსაზრდელებს;

- სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე სწავლება ჩატარდა 16 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის შშმ/სსსმ საჭიროებების მქონე 1 საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- უსაფრთხოების პასპორტის შედგენის მიზნით სამსახურის მიერ მიმდინარეობს კონსულტაციები ქ. ბათუმის, ქ. ფოთის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებთან;

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სწავლება/ტრენინგებში:

- ევროკავშირის პროგრამის - "პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში - ფაზა N3 (PPRD East 3)" ფარგლებში, ორგანიზებულ სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) საბაზისო კურსზე, ქ. კიშინიოვში (მოლდოვა);

- ქიმიური უსაფრთხოების შესაბამის უწყებებში ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის, ინსტიტუციური მოწყობისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქ. ვაშინგტონში (ამერიკის შეერთებული შტატები) გამართულ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) ტერორიზმთან ბრძოლის (WMDT) ოფისის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „P773 საქართველოში ქიმიური უსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება“;

- ქალაქ ობერამერგაუში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების დროს განგაშის და გაფრთხილების სახელმძღვანელო კურსში;

- ქ. ყვარელში ჩატარებულ სამოქალაქო უსაფრთხოების კომპლექსურ სწავლებაში - „დურუჯი - 2024“;

- ევროკავშირის საგრანტო პროგრამა SAFE-ის ფარგლებში - „უსაფრთხოება, ანგარიშვალდებულება და ბრძოლა კრიმინალის წინააღმდეგ საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გამართულ ურბანული საძიებო და სამაშველო ტრენერთა ტრენინგში, „ტრენერთა ტრენინგი-სასუნთქი აპარატისა და მაღალი ტემპერატურის შესახებ“, „ტრენერთა ტრენინგის კურსი - ინციდენტის მეთაური“, „ტრენერთა ტრენინგის კურსი - თხევადი ნავთობის გაზი“, „ავტომობილის ხანძარი და ავარია ტრენერთა ტრენინგი“ და „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“;

- ქ. ვენაში (ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკა) და რომში (იტალია) ევროკავშირის პროგრამის "პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში- ფაზა N3 (PPRD East 3)" ფარგლებში განხორციელებულ სწავლებაში;

- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ დაგეგმილ - სახანძრო უსაფრთხოების სისტემები საცხოვრებელ და მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, ხანძრის ლიკვიდაცია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე (მუზეუმი), ტრენერთა ზოგადი სწავლებისა და მადარობებში სამაშველო ტრენერთა ტრენინგებში;
- თბილისის ზღვაზე მყვინთავების სწავლებაში;
- სამთო-სამაშველო სწავლება სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურში;
- თურქეთის თანამშრომლობის და კოორდინაციის სააგენტოსა (TIKA) და სამსახურის თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებულ სამთო-სამაშველო/საავარიო მიმართულებით სწავლებაში;
- პოლონური "ICAD" ორგანიზაციის მიერ სტეფანწმინდაში (ყაზბეგი) დაგეგმილი ძიებისა და გადარჩენის სწავლებაში;
- "Professional Association of Diving Instructors"-ის ორგანიზაციის მეორე საფეხურის (Advanced Open Water /აღმოაჩინე ღია წყლები) მშრალი კოსტუმის ყვინთვის კურსში;
- ავსტრიის რესპუბლიკის ტიროლის ფედერაციულ მიწასა და შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებულ სწავლებაში;
- საქართველო- აზერბაიჯანის ტრანსსასაზღვრო რისკის შეფასებისა და სამოქმედო გეგმის პროექტ SAILOR-ის ფარგლებში, სიღნაღი) შატარებულ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით ტრანსსასაზღვრო რისკის შეფასების სწავლებაში;
- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) და ორგანიზაცია CESDRR და KazNIISA მიერ ყაზახეთის ქალაქ ალმათში, ჩატარებულ კრიზისების მართვის მიმართულებით სწავლებაში;
- ევროკავშირის პროექტის ფარგლებში "Resilient Communities Through Awareness and Preparedness Against The Risks of Fire, Food, and Landslide", კომპანია "Digiway" -ის მიერ თურქეთში დაგეგმილ სწავლებაში (ხანძრის, მეწყერის და წყალდიდობის შემთხვევაში, მოხალისე მაშველების გადამზადება);
- მონაწილეობა იქნა მიღებული ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „მონიტორინგი ჰიდროელექტრო სადგურების სიცოცხლის უნარიონობის გახანგრძლივებისთვის“;
- კლიმატის მწვანე ფონდის, საქართველოს, შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში ბაკურიანში განხორციელებულ აქტივობაში, მწვანე ბანაკი - „კლიმატის ელჩების“ სწავლებაში;
- ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (MASHAV) ორგანიზებით, ქალაქ ჰაიფაში (ისრაელის სახელმწიფო), ჩატარებულ ადგილობრივი კატასტროფების მართვის ინოვაციური მიდგომების კურსში;
- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ დაგეგმილ კრიზისული კომუნიკაციებისა და ეფექტური კოორდინაციის საკითხებზე სწავლებაში;
- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად" - ფარგლებში, გამართულ "სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) შესაბამისად" სწავლებაში;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამა - PPRD East 3-ის ფარგლებში ონლაინ ფორმატში გამართულ სწავლებაში თემაზე - „სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) შესახებ“;

- ბრიუსელში (ბელგია) ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) სწავლებაში ეროვნული საკონტაქტო პირებისათვის (NCP);
- ქ. დილიჯანში (სომხეთი), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ლუნდის უნივერსიტეტის რისკის მართვისა და სოციალური უსაფრთხოების სამმართველოს და რაულ ვალენბერგის ადამიანთა უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის (RWI) მხარდაჭერით, ჩატარებულ სწავლებაში - "უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის ადაპტაცია საქართველოში და სომხეთში“;
- ქ. ჩენსტოხოვაში (პოლონეთი) თოკით სამაშველო სამუშაოების წარმოებაზე ჩატარებულ სწავლებაში;
- პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და კრაკოვის პოლიცია Polish Aid 2024-ის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგში;
- პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში, ინსტრუქტორთა გადამზადების კურსებზე;
- ტყის ხანძრებთან ბრძოლის და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით პრაქტიკული სწავლებაში;
- ქალაქ თელავში ავტოსაგზაო შემთხვევებზე დაგეგმილ ტრენინგში;
- ქ. კაიროში (ეგვიპტე), სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ICDO) ჩატარებულ მყვინთავისა და წყალზე სამაშველო სწავლებაში;
- პოლონური "ICAD" ორგანიზაციის მიერ მესტიაში (სვანეთი) და ყაზბეგში (მცხეთა-მთიანეთი) დაგეგმილი სამთო-სამაშველო სწავლებებში;
- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ ჩატარებულ კრიზისული კომუნიკაციების საკითხებზე ორ ეტაპიანი სწავლებაში;
- უწყებათაშორისი სამეთაურო-სამტაბო სწავლებაში „პარტნიორი 2024“;
- გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ ჩატარებულ საჯარო გამოსვლის საკითხებთან დაკავშირებით სწავლებაში;
- ქ. კიშინიოვში (მოლდოვა) გაიმართა სწავლება სახელწოდებით - „რადიაციულ ინციდენტებზე რეაგირების სავლე სწავლებაში“;
- პოლონეთის დელაგაციის მიერ დაგეგმილ ინსტრუქტორთა გადამზადების სწავლებაში;
- საფრანგეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ფრანგი ინსტრუქტორების მიერ სიმალეზე სამაშველო ოპერაციების მიმართულებით წვრთნაში (გადამზადება);
- იტალიაში, ქალაქ მილანსა და სავონაში, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის დაფინანსებულ და დასავლეთ მაკედონიის უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ პროექტ SAILOR-ის (საქართველო-აზერბაიჯანის ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმა) ფარგლებში, CIMA Research Foundation-ის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ტყის ხანძრების რისკის რუქების შექმნის, ადრეული გაფრთხილების სისტემისა და დრონების გამოყენების შესახებ სწავლებაში;
- ქ. სოფიაში (ბულგარეთის რესპუბლიკა), ნატოს კრიზისების მართვისა და კატასტროფებზე რეაგირების სრულყოფის ცენტრში გამართულ „კრიზისული სიტუაციების საპასუხო ოპერაციებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება“ (Strategic Decision Making for Crisis Response Operations) კურსში;
- ქ. ამბროლაურში, აეროპორტში დაგეგმილი პრაქტიკული ხასიათის სრულმასშტაბიანი სწავლებაში, რომლებშიც სამსახურის მოსამსახურებთან ერთად მონაწილეობდნენ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“, ამბროლაურის აეროპორტის სამსახურების, შპს „საქაერონავიგაციის“ წარმომადგენლები;
- ქ. ქუთაისში და ხონში არსებულ თავდაცვის სამინისტროს დასავლეთ სარდლობის მე-III ქვეით ბრიგადაში, მეექვსე საარტილერიო ბრიგადასა და დასავლეთ სარდლობის შტაბში, ჩატარებულ სახანძრო-სამაშველო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის წრთვანში;

- ქ. ანკარაში (თურქეთის რესპუბლიკა) “Crisis Response Operations Staff Officer Course” (ACT.669.9) სწავლებაში;
- ბორჯომში ჩატარებულ თოვზე სამაშველო სწავლებაში;
- ქ. ვიშკოვში (ჩეხეთის რესპუბლიკა) თავდაცვის ერთობლივი დახელოვნების ცენტრში (JCBRN Def COE) ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ ჩატარებულ ტრენინგში;
- ქალაქ სარაევოში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) ჩატარდა სწავლებაში, თემაზე - „ფრონტის ხაზის ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის ზომების გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში“;
- ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის (IMB) 2013 წლიდან მიმდინარე პროექტის "სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქსელი ბიოუსაფრთხოების განვითარებისთვის კავკასიის რეგიონში" ფარგლებში, ქ. თბილისში გაიმართა პრაქტიკული სწავლებაში;
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიითა და მისი 2024-2026წწ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბირთვულ და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ეროვნული სამაგიდე სავარჯიშოში;
- მულტი საფრთხეების კატასტროფის რისკის სისტემების (MHDRIS) - პლატფორმის შემუშავების ტრენინგში;

1.2 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა.

- **საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 1 644 ობიექტს,** კერძოდ:
 - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ **143** ობიექტს;
 - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ **453** ობიექტს;
 - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ **123** ობიექტს;
 - სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა **564** ობიექტს;
 - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა **287** ობიექტზე;
 - სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) შენობა-ნაგებობებისთვის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესამუშავებლად განხორციელდა **74** ობიექტზე;
- **საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 3 302 კორესპონდენცია,** კერძოდ:
 - მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ (პირველი სტადიის) შემოსული დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა **766** რეკომენდაცია;
 - შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე (მეორე სტადია) შემოსული დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა **1 625** რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა **323** დაპროექტების დოკუმენტზე;
 - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თაობაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან შემოსულ წერილებზე მომზადებული იქნა **229** საპასუხო წერილი;
 - სამსახურის სისტემაში შემოსულ **682** დაპროექტების დოკუმენტაციაზე მომზადდა შენიშვნა-წინადადებები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ

რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა **363** დაპროექტების დოკუმენტზე;

- სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა **800**-ზე მეტი ზარი. ასევე, გაიმართა **462** საკონსულტაციო შეხვედრა;
- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ განხილულ იქნა დარგობრივი საკანონმდებლო აქტები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;

1.3 შეფასების ინდიკატორი: საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) კვალიფიკაციის მინიჭება.

საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის (INSARAG) მენტორი, ივონა გუტმანი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასწავლო ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში სასწავლო ცენტრში ჩატარდა სწავლება, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- INSARAG-ის მეთოდოლოგიისა და მართვის ფუნქციების, ურბანული საძიებო და სამაშველო (USAR) ჯგუფის ფუნქციების გაცნობა;
- ვირტუალური ადგილზე მყოფი ოპერაციების კოორდინირების ცენტრის (VOSOCC) და INSARAG-ის კოორდინაციის მართვის სისტემების (ICMS) შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- INSARAG-ის მონიტორინგსა და გამოყენებაზე ჯგუფური სამუშაოების ჩატარება;
- სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს “INSARAG”-ის კოორდინატორთა მიერ ორგანიზებული სწავლება;

ასევე, INSARAG - ის საერთაშორისო მსუბუქი სამაშველო ჯგუფის კლასიფიკაციის მისაღებად მომზადების ფარგლებში ჩატარდა სამაშველო ჯგუფის მომზადება, ხოლო მეორე კვარტლის მიწურულს სიმულაციური წვრთნა ჯგუფის მენეჯმენტის ჩართულობით.

ურბანული საძიებო-სამაშველო მსუბუქი ჯგუფისთვის (GEO-10) დაიდენტიფიცირდა INSARAG კლასიფიკაციის მიღებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის სია.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო, გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სააგენტოს მიერ ჩატარებულ ურბანული საძიებო-სამაშველო კოორდინირების კურსში.

სამსახურის მიერ, გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) მენტორობით, შემუშავდა და საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის სამდივნოში გაიგზავნა GEO-10 ჯგუფის განაცხადი.

1.4 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადებული/გადამზადებული სამსახურის მოსამსახურეები.

- დანერგილია საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ISO 21001:2018);
- შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები სასწავლო ცენტრის სერტიფიკატის ფორმების და სერტიფიკატის გაცემის წესში;
- მეხანძრე-მაშველის საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია (შეტანილია ცვლილება);
- სპეციალური სამაშველო ტექტიკური მომზადების საბაზისო პროგრამა;

- სასწავლო ცენტრში სწავლებისა და შეფასების სისტემის წესი დამტკიცებულია (შეტანილია ცვლილება);
- სასწავლო ცენტრის მსმენელის ქცევის წესი დამტკიცებულია (შეტანილია ცვლილება);
- მეხანძრე-მაშველთა მომზადების წლიური სასწავლო გეგმა-კალენდარი;
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა მეხანძრე-მაშველებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა კურსი/პროგრამა, კერძოდ: ტყის ხანძრების ქრობის საბაზისო მომზადების კურსი; შენობა-ნაგებობის ნგრევის ზონებში საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების საბაზისო მომზადების კურსი; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა; სასიმაღლო-სამაშველო სწავლების (ზოგადი კურსი) პროგრამა; სასწავლო კურსი „ქმრბ სააფრთხეების იდენტიფიცირება ხანძრის ქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს“; პნევმატური სახტომი სამაშველო მოწყობილობის გამოყენების სწავლების პროგრამა და წყალზე სამაშველო მომზადების პროგრამა; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ოპერატორების გადამზადების პროგრამა; სახანძრო-სამაშველო სამუშაოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის (ზოგადი კურსი) სასწავლო პროგრამა; სახანძრო-სამაშველო, სამთო-სამაშველო და სიმაღლეზე სამაშველო სამუშაოების სწავლების პროგრამა;
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა 2025 წლის ტრენინგ-საჭიროებების კითხვარი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების/გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების/კურსების განსაზღვრის მიზნით;
- გადამზადებულია 752 მეხანძრე-მაშველი;

2. ღონისძიების დასახელება: საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარება:

2.1. შეფასების ინდიკატორი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი.

eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა

საანგარიშო პერიოდში, eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა:

- აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების მექანიკური სარეზერვო ასლის გაკეთების ფუნქციის დამატება;
- საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზის მომზადება/განახლება, წლიურის მონაცემთა ბაზის ცვლილების ფორმირებისთვის;
- დეტალური მიწერილობის ფორმის ცვლილება;
- დასრულებული ბრძანების/მიწერილობის/შესაბამისობის რედაქტირება ვიზირების შესაძლებლობით.;
- მოხდა ცვლილება სისტემების გამოცდის ბლანკში;

eFris - სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- მიმდინარეობს efris.es.gov.ge-ს კოდის, სერვისების და მონაცემების აღდგენა/განახლება;
- მიმდინარეობდა efris.es.gov.ge-ს ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- მიმდინარეობს მუშაობა ინციდენტების აღრიცხვისა და სტატისტიკური ანალიზის აპლიკაციის განახლებაზე;
- მიმდინარეობს efris.es.gov.ge-ს ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაციის მოსამზადებელი სამუშაოები.

სხვა პროგრამული უზრუნველყოფის დონისძიებები

ა. maps.es.gov.ge - ინტერაქტიული რუკა

საანგარიშო პერიოდში:

- განახლდა სამსახურის ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) პროგრამული კოდი;
- მიმდინარეობს ინტერაქტიული რუკის სერვისების და მონაცემების აღდგენა/განახლება;
- ინტერაქტიულ რუკაზე (maps.es.gov.ge) რეგულარულად ხდება სახანძრო ჰიდრანტების მონაცემების განახლება;
- მიმდინარეობდა ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

ბ. hydrants.es.gov.ge - სახანძრო ჰიდრანტების ელექტრონული რუკა

საანგარიშო პერიოდში:

- საანგარიშო პერიოდში შეიქმნა და სისტემატიურად ახლდება სახანძრო ჰიდრანტების ელექტრონული რუკის ახალი აპლიკაცია (hydrants.es.gov.ge), რომელმაც ჩაანაცვლა ძველი აპლიკაცია. აღნიშნულ აპლიკაციას დაემატა გზები, დეტალიზაციის ფანჯრები (პოპაპები) თითოეულ ნიშნულზე, ფენები (ლეიერი), მიმდინარეობს ახალი ფუნქციონალის დამატება (რეგიონებად ჰიდრანტების დაყოფა);
- ელექტრონული რუკაზე - hydrants.es.gov.ge რეგულარულად ხდებოდა სახანძრო ჰიდრანტების მონაცემების განახლება;
- ჰიდრანტები დაიყო რეგიონებად;
- მიმდინარეობდა ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

გ. სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმა

საანგარიშო პერიოდში:

- განხორციელდა სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის ტექნიკური დავალების ცვლილება, მონაცემთა ბაზის არქიტექტურის შემუშავება და შესაბამისი დიზაინის შაბლონის არჩევა;
- დიზაინის მიხედვით შემუშავდა html მარქაფი (ჰიპერტექსტური მარკირების ენა).

დ. ოპერატიულ მართვის ცენტრის აპლიკაცია და სერვისები

საანგარიშო პერიოდში:

- მიმდინარეობს მუშაობა აპლიკაციაზე, რომლის საშუალებითაც მოხდება გარემოს ეროვნული სააგენტოდან ინფორმაციის ოპერატიულ მართვის ცენტრში („ცენტრი1“) ავტომატური მიღება, შეტყობინების სახით;

ე. sms-portal.es.gov.ge

საანგარიშო პერიოდში:

- შეიქმნა sms-portal.es.gov.ge - SMS შეტყობინებების გაგზავნის პორტალი;

ვ. es.gov.ge - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი

საანგარიშო პერიოდში:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განხორციელდა ფოტო გალერეის მოდულის ადმინისტრირების განახლება.

ზ. incidents.es.gov.ge - ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალი

საანგარიშო პერიოდში:

- შეიქმნა და ტესტირების რეჟიმში გაიშვა „ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალის“ - incidents.es.gov.ge, ინციდენტების აღრიცხვის მოდული;
- შემუშავდა ცენტრალური ავტორიზაციის სისტემის ინტეგრაცია პორტალზე;
- შემუშავდა პორტალზე როლები და უფლებები;
- განხორციელდა 112-ის ინციდენტების სერვისის ინტეგრაცია სისტემაში;

- დაიწყო სტატისტიკის მოდულზე მუშაობა;
- მიმდინარეობდა ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

3. ღონისძიების დასახელება: მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია.

3.1 შეფასების ინდიკატორი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- ვერტმფრენით ხანძრის ქრობის სამუშაოების განსახორციელებლად, შესყიდულ იქნა 10 ერთეული სახანძრო წყალდამცლელი მოწყობილობა (კალათი);
- სამაშველო ოპერაციების განსახორციელებლად შეძენილ იქნა 2 ერთეული უსაფრთხოების ბალიში;
- შეძენილ იქნა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა;
- შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა;
- შეძენილ იქნა მაიზოლირებელი აირწინადის კომპლექტი, იაპონიის საელჩოს მიერ გადმოცემული სახანძრო-სამაშველო ავტომობილის დასაკომპლექტებლად;
- სახანძრო-სამაშველო დანიშნულების ავტომანქანებისთვის მოცურაების საწინააღმდეგი ჯავები და ელ. ჯალამბარები;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ზამთრის და ყოველდღიური ფორმა/ტანსაცმელი, დათბილული ქუდები, ზამთრის მაღალყელიანი და ყოველდღიური ფეხსაცმელები, ასევე ოპერატორის მაისურები;
- ზაფხულის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით შეძენილ იქნა შესაბამისი სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები;
- შეძენილ იქნა სახანძრო ქაფი;
- ახალი სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისთვის შესაბამისი ტექნიკა და ავეჯი;

3.2 შეფასების ინდიკატორი: განახლებული ავტოპარკი

- ტყის ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის შეძენილია 9 ერთეული (ახალი, არამეორადი) სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად;
- 30 ერთეული სახანძრო-სამაშველო ავტომანქანის შესაძენად გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და სახელშეკრულებო ღირებულების 80% ავანსის სახით გაიცა მომწოდებელ კომპანიაზე. აღნიშნული სახანძრო-სამაშველო ავტომანქანები მოწოდება იგეგმება ეტაპობრივად 2025 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე;
- წყალზე სამაშველო ღონისძიებების განსახორციელებლად შეძენილია 15 ერთეული კატერი;

3.3 შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- 2023 წელს დაიწყო და საანგარიშო წელს დასრულდა ონის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები;
- 2021 წელს დაიწყო და მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, 2024 წელს დროებით შეჩერდა ხულოს სახანძრო-სამაშველო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები;
- 2023 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა საწყობის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები;
- 2023 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა კახეთში სამი ერთეული წყლის რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები;

- სახანძრო ავტოცისტერნების წყლით მოსამაგრებლად, საანგარიშო პერიოდში კაჭრეთში, ნაფარეულსა და ყვარელში აშენებულ იქნა 3 ერთეული რეზერვუარი;
- საანგარიშო პერიოდში ბათუმსა და ზუგდიდში მოეწყო ერთიანი საოპერატორო სივრცე;
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გამართული ფუნქციონირებისათვის ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოსაფხვრელად განთავსდა საოფისე და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სენდვიჩპანელის კონსტრუქციის 2 ერთეული კონტეინერი;
- ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა სამსახურის დანაყოფების შენობა-ნაგებობების იერსახის შენარჩუნების მიზნით მათი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

4. ღონისძიების დასახელება: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება;

4.1 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების რაოდენობა.

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 2 013 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 1 949 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსახურის განვითარებას;

4.2 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების რაოდენობა - სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა.

- დაწყებულია მუშაობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს განვითარების ხედვის შესამუშავებლად;
- დაწყებულია მუშაობა სააგენტოს სერვისების განვითარების განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესაქმნელად.

5. ღონისძიების დასახელება: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა.

5.1 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების მიმართულებით შემუშავებული ნორმატიული ბაზა.

- შემუშავებულია და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში განსახილველად გაგზავნილია „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- შემუშავებულია სახელმწიფო რეზერვების ხედვის პროექტი;
- დაწყებულია მუშაობა სახელმწიფო რეზერვების პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტზე, რომლის საბოლოო ვარიანტი ჩამოყალიბებული იქნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ, მთავრობის დადგენილებების განხილვის დასრულების და შესაბამისი რეკომენდაციების მიღების შემდგომ.

5.2 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

- საპასუხისმგებლო შენახვაზე არსებული მატერიალური ფასეულობის განახლება რეგულარულად ხდება პასუხისმგებელი შემნახველის მიერ;
- სახელმწიფო რეზერვების ბაზის შევსება შესაძლებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცვლილების შემდეგ.

5.3 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების ბაზის მარაგების კონტროლი.

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობების ინვენტარიზაცია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე, გადამზადებული/ მომზადებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები და მინიჭებული INSARAG-ის (გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის) კლასიფიკაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განვითარებული ტექნოლოგიები;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა, შენარჩუნებული ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი);
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში 63 323 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება/კონსულტირება (კერძოდ, **6 208** აქტივობა), სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური სწავლებები (მომზადებული/გადამზადებულია სამსახურის **752** მოსამსახურე) და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები. ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები;
- INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით შემუშავებულია წელიწადნახევრიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია საკვალიფიკაციო სწავლება;
- მიმდინარეობს პილოტირების რეჟიმში დანერგილი ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემის (eFris) ახალ სერვერზე გადატანა/მიგრაციის მოსამზადებელი სამუშაოები, მისი გამართული ფუნქციონირების ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- განხორციელდა საოპერაციო გარემოში დანერგილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემისათვის (eFss) ფუნქციონალების დამატება, ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- განახლდა სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის ტექნიკური დავალება, შეირჩა შესაბამისი დიზაინის შაბლონი,

შემუშავდა მონაცემთა ბაზის არქიტექტურა და დიზაინის მიხედვით html მარქაფი (ჰიპერტექსტური მარკირების ენა);

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა როგორც სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ დროული და ეფექტური რეაგირებისთვის საჭირო (maps.es.gov.ge, hydrants.es.gov.ge და სხვა), ასევე საგანგებო სიტუაციების შესახებ მიღებული შეტყობინებების, მათზე განხორციელებული რეაგირებების, ჩართული ძალებისა და შედეგების აღრიცხვა/სტატისტიკური ინფორმაციის საწმოებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაზე, ტექნიკურ მხარდაჭერასა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორებაზე;
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ნაწილობრივ განახლდა წყალზე/სამთო სამაშველო და სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. სერვისის მიღების მიზნით მიღებული მომართვების 100%-ი დაკმაყოფილებულია დადგენილ ვადაში;
- შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის, ნომენკლატურისა და დაგროვების ოდენობის განმსაზღვრელი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. ჩატარდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. **ინდიკატორის დასახელება** - ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და მათზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) ოპერაციებს. ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახური ახორციელებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის ზედამხედველობას, რომელთა საერთო რაოდენობა აღემატება 16 ათას ობიექტს. დღეის მდგომარეობით შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის კოორდინაციის მიზნით სამსახური ახორციელებს აღნიშნული სისტემის სუბიექტების მიერ საგანგებო მართვის გეგმების მომზადების ხელშეწყობის მიზნით მათთვის სწავლებების/ კონსულტაციებისა და სხვადასხვა მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზებას, უწყებათშორისი თანამშრომლობის კოორდინაციას. მეხანძრე-მამშველთა მომზადების სხვადასხვა პროგრამა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი დამტკიცებული/ დანერგულია; მომზადებული/გადამზადებულია სამსახურის 160 მოსამსახურე;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ლიკვიდირებულია ყველა ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 16 000 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება). გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG“-ით აკრედიტირებულია ქართული ურბანული სამაშველო ჯგუფი. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებს შემუშავებული აქვთ საგანგებო მართვის გეგმები. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმი. სამსახურის 640 მოსამსახურე მომზადებული/გადამზადებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რეაგირებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რაოდენობა და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები.

2. **ინდიკატორის დასახელება** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საოპერაციო გარემოში პილოტირების რეჟიმში დანერგილია და რეკომენდაციების მიხედვით დახვეწილია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემის (eFris) მოდულები; საოპერაციო გარემოში დანერგილია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სამსახურის მიერ შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris) და მასში აღრიცხულია ქვეყნის მასშტაბით მომხდარი ინციდენტების, ასევე მათი შედეგებისა და რეაგირების შესახებ მონაცემები; სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss) საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია და მისი ფუნქციონალი განვითარებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ელექტრონული სისტემების შექმნა/განახლება.

3. **ინდიკატორის დასახელება** - მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაციის და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გასახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 50%. ჩასანაცვლებელია სახანძრო-სამაშველო დანიშნულების ავტომანქანების 32,5%, მცურავი საშუალებების 61% და სამთო-სამაშველო სატრანსპორტო საშუალებების 37%. ასევე, არ არის საკმარისი სამთო-სამაშველო ავტოპარკის არსებული რაოდენობა სახანძრო-სამაშველო ობიექტების 73.3% საჭიროებს რეაბილიტაციას. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ავტოპარკის და ინფრასტრუქტურის ბაზაზე, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) დედაქალაქში და დასახლებულ ტერიტორიებზე შეადგენს 10 წთ-ს, ხოლო რეგიონებში (რაიონები) - 20 წთ-ს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 20%-მდე განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შეძენილია 4 სახანძრო-სამაშველო მანქანა; ჩანაცვლებულია/ განახლებულია სხვადასხვა ტიპის 10 ერთეული მცურავი/ სამთო-სამაშველო საშუალება, სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 4% რეაბილიტირებულია, ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) შენარჩუნებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა.

4. **ინდიკატორის დასახელება** - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების განვითარების მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში შესაბამის მომსახურებას უწევს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოებაზე სრულად გადასვლისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები დაწყებულია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სერვისის მიღების მიზნით მიღებული მომართვების 100%-ი დაკმაყოფილებულია ვადაში, მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოების პროგრამა (პლატფორმა) შექმნილია; მიღებულ სამოქმედო გეგმაში, დამტკიცებულ სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებში (SOP) და ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები განხორციელებულია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება

5. **ინდიკატორის დასახელება** - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნის და მართვის მაჩვენებელი;

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ხედვის პროექტი დამტკიცებულია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დაგეგმილია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შევსებისათვის საჭირო ღონისძიებები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

2024 წლის ბოლოს გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საქართველოში ფიზიკური/იურიდიული პირისთვის პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი. აღნიშნული კონტროლის განმახორციელებლად მოიაზრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო. აღნიშნულის შედეგად სააგენტოში, კერძოდ, სერვისების განვითარების განყოფილებაში მიმდინარეობს როგორც ნორმატიული დოკუმენტაციის მომზადება/დამუშავება, ასევე საკადრო და მატერიალური, ტექნიკური ცვლილებები.

ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია-ვალდებულების სააგენტოსათვის დამატება უშუალოდ უკავშირდება როგორც მისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარების ხედვას, ასევე, სამოქმედო გეგმას. შესაბამისად აუცილებელი გახადა დოკუმენტების პროექტებში კორექტირებების შეტანა, რამაც შეუძლებელი გახადა დოკუმენტების საბოლოო რედაქციის მიღება და ისინი ამ ეტაპზე კვლავ შემუშავების პროცესშია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში მიმდინარეობს „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის და „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დადგენილების მიღება დიდწილად დაკავშირებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განვითარების ხედვის პროექტის დასრულებაც.